ЛИБЕРТИ
ბანკი ყველგან და ყველასთვის

**სს „ლიბერთი ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ**

გაცნობებთ, რომ სს „ლიბერთი ბანკის“ (შემდგომში **„ბანკი“**) აქციონერთა ყოველწლიური საერთო კრების (შემდგომში **„საერთო კრება“**) ჩატარება დაგეგმილია 2026 წლის 24 ივნისს 11:00 საათზე, „ბანკის“ სათავო ოფისში შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №74, თბილისი 0179, საქართველო;

- **განთავსებულ აქციათა რაოდენობა**

„საერთო კრების“ მოწვევის თარიღისთვის „ბანკის“ განაღდებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა შეადგენს 4,449,046,175 აქციას, ხოლო განთავსებული პრივილეგირებული აქციების რაოდენობა შესაბამისად 4,565,384 აქციას;

- **„საერთო კრების“ სააღრიცხვო თარიღი:**

საერთო კრების სააღრიცხვო თარიღად განსაზღვრულია 2026 წლის 02 ივნისი. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც კრების სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით ჩვეულებრივ აქციებს ფლობენ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში ანგარიშის მწარმოებლის საშუალებით.

- **აქციონერთა კრებაზე წარმომადგენლის დანიშვნა:**

აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება და თავად დამოწმებული მინდობილობა პირმა უნდა წარმოადგინოს მატერიალური სახით „ბანკის“ იურიდიულ მისამართზე.

- **საერთო კრებაზე ხმის მიცემის წესი:**

საერთო კრებაზე ხმის მიცემა ხორციელდება ღია კენჭისყრის პრინციპით. დღის წესრიგის თითოეულ საკითხს კენჭი ეყრება დამოუკიდებლად. თითოეული დამსწრე აქციონერი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს, წინააღმდეგ წავიდეს ან თავი შეიკავოს „საერთო კრების“ დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან მიმართებით.

- **„საერთო კრების“ დღის წესრიგი შედგება შემდეგი საკითხებისგან:**

1. **„ბანკის“ 2025 წლის აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;**
   *„დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, დაამტკიცოს 2025 წლის აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც სათანადო წესით გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომია „ბანკის“ ვებგვერდზე;*

2. **„ბანკის“ დამოუკიდებელ გარე აუდიტორად შპს „იუაის“ („იუაი“) დანიშვნა:**
   *„ბანკი“ ვალდებულია უზრუნველყოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წლიური სავალდებულო აუდიტის ჩატარება იმ აუდიტორული ფირმის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს „კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №284/04 ბრძანებით („ბრძანება“) განსაზღვრულ სავალდებულო მოთხოვნებს. „დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, „იუაი“ დანიშნოს „ბანკის“ დამოუკიდებელ გარე აუდიტორად 2026 კალენდარული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განსახორციელებლად.*

3. **„ბანკის“ მიერ გამოშვებულ კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებზე („პრივილეგირებული აქცია“) 2025 წლის კუთვნილი დივიდენდის გადახდის დამტკიცება, თითოეულ „პრივილეგირებულ აქციაზე“ 0.17 ლარის ოდენობით;**
   *2012 წლის პრივილეგირებული აქციების ემისიის საბოლოო პროსპექტის შესაბამისად, „ბანკი“ „პრივილეგირებული აქციების“ მფლობელებს ყოველწლიურად უხდის დივიდენდს წლიური 17%-ის ოდენობით, საანგარიშო წლის მომდევნო კალენდარულ წელს. 2025 წლის IFRS კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, „ბანკის“ წმინდა მოგებამ შეადგინა დაახლოებით 128 მილიონი ლარი. შესაბამისად, „დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, დაამტკიცოს დივიდენდის*

*სააღრიცხვო თარიღისთვის გამოშვებულ, განთავსებულ და განაღდებულ 4,565,384 „პრივილეგირებულ აქციაზე“ დივიდენდის გადახდა წლიური 0.17%-ის ოდენობით, რაც ჯამურად შეადგენს 776,115.28 ლარს;*

4. **2025 კალენდარული წლის კუთვნილი „პრივილეგირებული აქციების“ დივიდენდის სააღრიცხვო თარიღის განსაზღვრა;**
*„ბანკის“ მოქმედი წესდების გათვალისწინებით, „დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, 2025 წლის კუთვნილი „პრივილეგირებული აქციების“ დივიდენდის სააღრიცხვო თარიღად დაამტკიცოს 2026 წლის 9 ივლისი;*

5. **2025 კალენდარული წლის კუთვნილი „პრივილეგირებული აქციების“ დივიდენდის გადახდის თარიღის განსაზღვრა;**
*„ბანკის“ მოქმედი წესდების გათვალისწინებით, „დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, 2025 წლის კუთვნილი „პრივილეგირებული აქციების“ დივიდენდის გადახდის თარიღად დაამტკიცოს 2026 წლის 24 ივლისი;*

6. **„ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების დამტკიცება;**
*„დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად 4 (ოთხი) წლის ვადით აირჩიოს ქალბატონი მო ლუ, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად ამავე ვადით - ქალბატონი ნინო ოხანაშვილი, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი არ იქნება აღნიშნულის წინააღმდეგი.*

*ქალბატონი მო ლუ 2023 წლიდან დღემდე წარმატებით იკავებს „ბანკის“ განაღდებული აქციების 95.99%-ის მფლობელ საწარმოში - სს „ბაზისბანკში“ გენერალური დირექტორის მრჩევლის პოზიციას სტრატეგიულ საკითხებში. მისი მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია და სტრატეგიული მართვის გამოცდილება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს „ბანკის“ საზედამხედველო ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში.*

*ქალბატონ ნინო ოხანაშვილს გააჩნია საბანკო და არასაბანკო სფეროში მუშაობის 25-წლიანი პროფესიული გამოცდილება. ქალბატონი ნინო 2023 წლიდან დღემდე წარმატებით იკავებს სს „ბაზისბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის პოზიციას, რაც მის კვალიფიკაციასა და დამოუკიდებლობის ხარისხთან ერთად, მყარ საფუძველს ქმნის „ბანკის“ ეფექტური კორპორაციული მართვის უზრუნველყოფისთვის.*

*„დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, განიხილოს „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების - ბატონი მამუკა წერეთლისა და ქალბატონი მაგდა მაღრაძის უფლებამოსილების გაგრძელების საკითხი „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.*

7. **„ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის (თავმჯდომარის) - მურთაზ კიკორიას ხელახალი ვადით არჩევა სამეთვალყურეო საბჭოში;**
*„დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და საბანკო რეგულაციებით კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობის სტატუსის მიმართ დადგენილი შესაძლო მაქსიმალური ცხრა წლიანი ვადის გათვალისწინებით, მურთაზ კიკორია აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2 (ორი) წლის ვადით.*

8. **„ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ახლადარჩეული წევრებისთვის სახელფასო ანაზღაურების განსაზღვრა;**
*„დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ახლადარჩეული წევრებისთვის - ქალბატონი ნინო ოხანაშვილისა და ქალბატონი მო ლუსთვის დასაკავებელ პოზიციებზე სახელფასო ანაზღაურება განისაზღვროს მათი პროფესიული კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოსა და მის შესაბამის კომიტეტებში მათი როლის, ფუნქციური დატვირთვისა და პასუხისმგებლობის მასშტაბის პროპორციულად.*

- **დღის წესრიგის ცვლილება/საკითხ(ებ)ის დამატება**

„ბანკის“ ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციების სულ მცირე 5%-ის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს „საერთო კრების“ ჩატარების თარიღამდე არანაკლებ 14 (თოთხმეტი) დღით ადრე წერილობით მიმართოს „ბანკს“ და:

- მოითხოვოს „საერთო კრების“ დღის წესრიგში საკითხის დამატება, რა შემთხვევაშიც მოთხოვნას თან უნდა დაურთოს შესაბამისი დასაბუთება, ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;
- წარადგინოს „საერთო კრების“ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

- **საერთო კრების მასალების სრულად გაცნობის ადგილი და პირობები**

საერთო კრების მასალების სრულად გაცნობა შესაძლებელია „ბანკის“ აქციონერის წერილობითი მომართვის შემთხვევაში, „ბანკის“ იურიდიულ მისამართზე.

აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყება 2026 წლის 24 ივნისს 10:30 საათზე და დასრულდება 10:50 საათზე;

„საერთო კრებაში“ მონაწილეობის უფლება შეიძლება გადამოწმებულ იქნას იმ ანგარიშის მწარმოებელთან, რომლის საშუალებითაც აქციონერი ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტების სისტემაში ფლობს ჩვეულებრივ აქციებს.

**პატივისცემით,**

**ფინანსური დირექტორი**
**ვახტანგ ბაბუნაშვილი**
**სს „ლიბერთი ბანკი“**